დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 10 მარტის №36 სხდომაზე, ცვლილებები და დამატებები შეტანილია 2010 წლის 27 სექტემბრის №44 და 2011 წლის 30 მაისის № 50, 2011 წლის 10 აგვისტოს სხდომაზე, 2012 წლის 21 მაისის N61 სხდომაზე, 2013 წლის 28 მარტის №75 სხდომაზე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტის მიღების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სპორტის მიმართულების საბაკალავრო პროგრამებზე მიღების საფუძველია სპორტული ტურის და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი ან ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე.(28.03.2013)

2. მაგისტრატურის საფეხურზე სტუდენტის მიღების საფუძველია საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის შედეგები.

3. დოქტორანტურის საფეხურზე სტუდენტის მიღება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი დოქტორანტურის სტანდარტისა და შესაბამისი ფაკულტეტის დებულების მიხედვით.

4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პირის ჩარიცხვის წინაპირობაა რეგისტრაციის გავლა კანონმდებლობითა და/ან რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

5. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხორციელდება ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის მიღების საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება. წინა საფეხურის არარსებობისას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას პირი მოიპოვებს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში; ხოლო მე-3 საფეხურის არარსებობისას - ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებისა და შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე.(30.05.2011).

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია

   ა) აკადემიური შვებულება;

   ბ) ერთი და მეტი სემესტრის ფინანსური დავალიანება;

   გ) შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საფასურის გადაუხდელობა;
   დ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როცა განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რაც შეუთავსებელია სწავლასთან. გარდა იმ შემთხვევისა თუკი უნივერსიტეტი შესთავაზებს სტუდენტს დისტანციურ სწავლებას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში;

   ე) 2005 წლიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტს, რომლის ჩარიცხვიდან გასულია შესაბამისი აკადემიური საფეხურის დასრულების ვადა, როცა სტუდენტს არ აქვს სრულად დაძლეული საგანმანთლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნები და ამ წესით გათვალისწინებულ ვადაში არ მიუმართავს უნივერსიტეტისათვის სწავლის გაგრძელების თხოვნით.(30.05.2011).

   ,,ვ) შესაბამის სემესტრში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსში“ საგნებზე დაურეგისტრირებლობა“(21.05.2012).

2. სტუდენტის სტატუსშეჩერებულად ითვლებიან ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ

ბრძანების მე-10 მუხლის პირველი პუნქტში გათვალისწინებული სტუდენტები და მე-3 მუხლის მეხუთე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში ჩერდება სწავლის საფასურის გადაუხდელობისათვის დადგენილი საჯარიმო სანქციის მოქმედება.

4. უნივერსიტეტის ფაკულტეტები შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრების სასწავლო კურსებზე არგუსის პროგრამით სარეგისტრაციო პერიოდის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენენ გასული და/ან მიმდინარე სემესტრის ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტთა სიას, მათთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზნით. (28.03.2013).

   4[1] . უნივერსიტეტის ფაკულტეტები შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრების სასწავლო კურსებზე არგუსის პროგრამით სარეგისტრაციო პერიოდის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენენ იმ სტუდენტთა სიას, რომელთათვისაც სტატუსის შეჩერების უფლება წარმოიშობა ამ წესის მეორე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე. (28.03.2013)

5. 2009-2010 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოს, იმ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ უნივერსიტეტის წინაშე ფინანსური დავალიანება და არ აქვთ შეთანხება გაფორმებული დავალიანების გრაფიკით გადახდის შესახებ, შეუჩერდებათ სტუდენტის სტატუსი.

6. უნივერსიტეტის სტუდენტს, რომელსაც აქვს ფინანსური დავალიანება, უფლება ეძლევა ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადებში მიმართოს უნივერსიტეტს დავალიანების და მიმდინარე სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის თხოვნით. უნივერსიტეტის თანხმობის შემთხვევაში დგება შეთანხმების ხელშეკრულება, რომლის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლოა გაფრთხილების გარეშე შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი ან დაეკისროს გადაცილებულ ვადაზე გარკვეული სახის ჯარიმა. (28.03.2013).

7. გადაწყვეტილებას ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

8. სტუდენტს, რომელსაც შეჩერებული აქვს სტატუსი, შეუძლია უნივერსიტეტში აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი ამ წესის მეორე მუხლის მე-9 პუნქტით

დადგენილ ვადებში ან ისარგებლოს მობილობის უფლებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში.(30.05.2011).

9. სტუდენტის სტატუსის აღდგენის მიზნით პირი, რომელსაც სურს სტუდენტის სტატუსი აღიდგინოს, არგუსის პროგრამით სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა მიმართავს უნივერსიტეტს განცხადებით. ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირის განცხადებას თან უნდა ახლდეს სწავლის საფასურის დავალიანების გადახდის ქვითარი. შემოსული განცხადებები ეგზავნება შესაბამის ფაკულტეტს დასკვნისათვის. იმ სტუდენტთა განცხადებები, რომლებიც არგუსის პროგრამით სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ გააკეთებენ განაცხადს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, გათვალისწინებული იქნება მომდევნო სემესტრისათვის.
10. უნივერსიტეტი განიხილავს განცხადებას და ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით აღუდგენს სტუდენტის სტატუსს. აქტში უნდა მიეთითოს, რომელი სასწავლო წლიდან და სემესტრიდან შეუძლია სტუდენტს განაახლოს სწავლა.
11. სტუდენტის სტატუსის შეჩერება აისახება სტუდენტთა რეესტრში.

მუხლი 2[1]. (30.05.2011)

1. 2005 წლიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტს, რომლის ჩარიცხვიდან გასულია შესაბამისი აკადემიური საფეხურის დასრულების ვადა და არ აქვს სრულად დაძლეული საგანმანთლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნები, შეუძლია უახლოესი სემესტრის ოფიციალურ დაწყებამდე მიმართოს უნივერსიტეტს სწავლის გაგრძელების თხოვნით და გააფორმოს უნივერსიტეტთან შესაბამისი ხელშეკრულება. ამ მუხლით გათვალისწინებულ სტუდენტებს, რომლებიც შესაბამისი ვადის დაცვით არ მიმართავენ უნივერსიტეტს, შეუჩერდებათ სტუდენტის სტატუსი, რომლის აღდგენა ხორციელდება ამ წესის მეორე მუხლით დადგენილი წესით.

2. 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის ადმინისტირების დეპარტამენტი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს იმ სტუდენტთა სიას, რომელთათვისაც სტატუსის შეჩერების უფლება წარმოიშობა ამ წესის მეორე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

მუხლის 3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტს სტატუსი უწყდება:
   ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
   ბ) საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობისას, რაც ნიშნავს, სტატუსის შეწყვეტას იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც 2005 წლამდე ჩაირიცხნენ შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და რომელთა სწავლას შესაბამის საფეხურზე აფინანსებდა სახელმწიფო, მაგრამ მათი ჩარიცხვიდან გასულია შესაბამისი აკადემიური საფეხურის დასრულებისა და სახელმწიფოს მიერ მათი სწავლის დაფინანსების ვადა და ამ ვადის გასვლის შემდეგ არ აქვთ სრულად დაძლეული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნები.
   გ) სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებისას, რომელსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი;
   დ) გარდაცვალების გამო;
   ე) 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების გამო;
   ვ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და ხარისხის მინიჭების გამო;
   ზ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის გამო.
2. ის სტუდენტები, რომლებიც ამ მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ კატეგორიაშია და რომელთა შესახებ ინფორმაციის მოძიება ვერ ხერხდება ფაკულტეტებზე, ჩაითვალნონ საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის გამო სტატუსშეწყვეტილებად.

3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.(28.03.2013).

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. გადაყვანის წესით ჩარიცხვა

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაყვანის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად.
2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დარეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ ვაკანტურ ადგილებზე. (30.05.2011)
3. იმ პირთა ერთიანი სია, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი დაწესებულების შესაბამის ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე, ქვეყნდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე, რის შემდეგაც მობილობის მსურველი უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს მიმღებ დაწესებულებას ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან ერთვის საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა დაწესებულებაში, სასწავლო ბარათი და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები. მობილობის მსურველი, რომელიც დაწესებულების მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით მიმღებ დაწესებულებას ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.(30.05.2011)
4. უნივერსიტეტის ფაკულტეტები განაცხადის მიღებიდან რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ და შესაბამის სტუდენტთა სიასა და აღიარებული კრედიტების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს რექტორის ბრძანების პროექტის გამოსაცემად.
5. უნივერსიტეტი უფლება აქვს გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა. ამ თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.
6. აღიარება ფორმდება შესაბამისი ფაკულტეტის მოტივირებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები დაწესებულების პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.
7. უნივერსიტეტი ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და წარუდგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ცენტრის დადებითი დასკვნის საფუძვლეზე, შემოდგომის სემესტრისთვის არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა ხოლო გაზაფხულის სემესტრისთვის არაუგვიანეს 1 მარტისა გამოიცემა ბრძანება

სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ, რომელიც გამოცემიდან 7 დღის ვადაში იგზავნება ცენტრში. (30.05.2011).

მუხლი 5. სტუდენტის მიერ კრედიტების მოპოვებისა და სტუდენტთა სემესტრული/ წლიური დატვირთვის განსაზღვრის წესი

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის სემესტრული დატვირთვა მოიცავს 30 კრედიტს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში(10.08.2011).
2. სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე სტუდენტს შეუძლია დამატებით აიღოს სემესტრში არაუმეტეს 6 კრედიტისა.(27.09.2010)
3. დამამთავრებელი წლის სტუდენტს ბაკალავრიატში უფლება აქვს, დააგროვოს მაქსიმუმ 75 კრედიტი წელიწადში, ხოლო მაგისტრატურაში - მაქსიმუმ 72 კრედიტი წელიწადში.
4. კურსების ხელახლა გავლისა და დამატებითი კრედიტების საფასურს არეგულირებს "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების და კრედიტების მინიჭების წესი".

მუხლი 6. სტუდენტთა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აღიარებს ყველა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების მიერ გაცემულ აკადემიურ ხარისხებს. საზღვარგარეთ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის აღიარება რეგულირდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტით.

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ უმაღლესი და სახელობო განათლების კრედიტების აღიარება ეფუძნება მათ შესაბამისობას უნივერსიტეტის კურიკულუმთან.

3. ამა თუ იმ კურსის ეკვივალენტი კურსის არსებობას უნივერსიტეტი ადგენს სტუდენტის მიერ გავლილი კურსის სილაბუსის ანალიზის საფუძველზე. თუ გავლილი კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები შეესაბამება უნივერსიტეტის კურიკულუმში არსებული კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, ხდება მისი აღიარება.

4. თუ სტუდენტის მიერ გავლილი კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება უნივერსიტეტის შესაბამისი კურსის კრედიტების რაოდენობას, ასეთ შემთხვევაში ხდება კრედიტების იმ რაოდენობის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის კურიკულუმი (მაგ., თუ სტუდენტის მიერ გავლილი კურსი 7 კრედიტიანია, ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაბამისი კურსი - 5 კრედიტიანი, სტუდენტს აუღიარდება 5 კრედიტი).

5. თუ სტუდენტის მიერ გავლილი კურსის კრედიტების რაოდენობა ნაკლებია უნივერსიტეტის შესაბამისი კურსის კრედიტებზე, გადაწყვეტილება შესაბამისობის შესახებ მიიღება სილაბუსების ანალიზის საფუძველზე.

6. თუ გავლილი კურსი არ არის კრედიტებით გაანგარიშებული, ამ კურსის კრედიტების გამოანგარიშება ხდება შესაბამისი სილაბუსის ანალიზის საფუძველზე.

7. ერთი და იმავე კურსის არაერთჯერადი შეფასების არსებობის შემთხვევაში, გავლილ კურსს ენიჭება კრედიტების ჯამური რაოდენობა, ხოლო მისი შეფასებისას - შეფასებების საშუალო არითმეტიკული (მაგ. თუ ერთ კურსს სტუდენტი სწავლობდა სამი სემესტრის მანძილზე, თითოეულ სემესტრში მიღებული კრედიტების რაოდენობა ჯამდება, ხოლო კურსის საბოლოო შეფასებისთვის გამოითვლება სემესტრული შეფასებების საშუალო არითმეტიკული).

8. 5 ქულიანი შეფასების შემთხვევაში, შეფასების გადაყვანა ხდება 100 ქულიან სისტემაზე მაქსიმალური ქულის მინიჭების პრინციპით (მაგ., 5 = 100; 4 = 90; 3=70). იგივე წესი მოქმედებს ე. წ. დიფერენცირებული ჩათვლის შემთხვევაში. არადიფერენცირებული ჩათვლის აღიარება ხდება, ასევე, მაქსიმალური ქულის მინიჭებით (ჩათვლა = 100).

მუხლი 7. საგანმანთლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, რომელშიც იგულისხმება სტუდენტის ან უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული პროგრამის შეცვლა და უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება, მილევად პროგრამად გამოცხადება, შესაძლებელია შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების დროს, ფაკულტეტი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით, იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის მიერ გავლილი

საგანმანათლებლო პროგრამის უნივერსიტეტში მიმდინარე პროგრამასთან თავსებადობის ან მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სტუდენტისთვის ინდივიდუალური პროგრამის შექმნის შესახებ, ამზადებს დასკვნას და აცნობს სტუდენტს. გადაწყვეტილება სტუდენტის შესაბამის პროგრამაზე გადაყვანის შესახებ მიიღება დეკანის ან/და ფაკულტეტის საბჭოს მიერ და აღნიშნული გადაწყვეტილება (ფაკულტეტის საბჭოს ოქმის ამონაწერი ან/და დეკანის ბრძანება) ინახება სტუდენტის პირად საქმეში.(21.05.2012).

3. თუ უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებულ პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, უნივერსიტეტი სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფორმებს შეთანხმებას სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შესახებ და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ხელშეკრულებაში მითითებული პირების სასწავლო პროცესი განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. (30.05.2011).